საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის სექტემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის სექტემბრის თვეში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №67/ნ

2023 წლის 14 სექტემბერს ძალადაკარგულად გამოცხადდა:

1. „ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ შეტყობინების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 29 ნოემბრის №01-122/ნ ბრძანება.
2. „საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 22 დეკემბრის №01-58/ნ ბრძანება.

ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.017087

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №43

2023 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №334 ბრძანებით „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ლატარიის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშის რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 26 თებერვლის №43 ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„დ) მოთამაშის მოქალაქეობა, პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი, გამცემი ქვეყანა, გამცემი ორგანო და მოქმედების ვადა;“.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. ოპერატორი ვალდებულია, საქართველოს მოქალაქის და ბინადრობის მოწმობის მფლობელის შემთხვევაში პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მოთამაშედ რეგისტრაციისა და რისკზე დაფუძნებული მიდგომისას, გადაამოწმოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ამ მიზნით, ოპერატორი უფლებამოსილია სააგენტოდან მიიღოს მოთამაშის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი, დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა, ფოტოსურათი და რეგისტრირებული საცხოვრებელი მისამართი.“.

3. მე-7 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ოპერატორი ვალდებულია 2023 წლის 1 ოქტომბრამდე რეგისტრირებული მოთამაშის მოქალაქეობის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში უზრუნველყოს არაუგვიანეს 2023 წლის 1 ნოემბრისა.“.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge
სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017735

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №243

2023 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №335 ბრძანებით „მოთხოვნების/სტანდარტების დადგენის/სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მაძიებლის/ნებართვის მფლობელის მიერ თავის საქმიანობაში გამოსაყენებელი/გამოყენებული არსებითი პროდუქცია/მომსახურება, POS ტერმინალი ან/და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის №243 ბრძანებით დამტკიცებულ „სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მოთხოვნებში/სტანდარტებში“ (დანართი №1) შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ა.ლ“ ქვეპუნქტი:

„ა.ლ) მოთამაშის მოქალაქეობა;“.

2. VIII თავის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის IX თავი:

„თავი IX. გარდამავალი დებულებები

მუხლი 22. გარდამავალი დებულებები

ოპერატორი ვალდებულია 2023 წლის 1 ოქტომბრამდე რეგისტრირებული მოთამაშის ელექტრონულ ფაილში ასახოს მოთამაშის მოქალაქეობის შესახებ ინფორმაცია, არაუგვიანეს 2023 წლის 1 ნოემბრისა.“.

ზემოაღნიშნული დანართის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017736

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანება

2023 წლის 12 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №71 ბრძანებით „სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და მე-2 მუხლი (ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება); მე-4[1] მუხლი (სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით რეგისტრაციისთვის ავტორიზებული მოგირავნის ან ნოტარიუსის (მისი შემცვლელის) მიერ იმავე სისტემაში წარდგენილი საინფორმაციო ბარათი) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010240060.22.034.017399

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 25 სექტემბრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №52 ბრძანება

2023 წლის 28 სექტემბერი საქართველოს იუსტიციის მინისტრის №933 ბრძანებით დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 ნოემბრის №52 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული დანართის (დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის ფორმა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. მოწმობა ორენოვანია, ქართულ-ინგლისური, ორგვერდიანია, ზომები: 196X68მმ, შეიცავს 15 დამცავ ნიშანს.“.

2. ბრძანებით დამტკიცებული დანართით (დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის ფორმა) განსაზღვრული დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის ფორმა ჩამოყალიბდა თანდართული სახით.

ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის ბლანკების გამოყენება დასაშვებია მათი მარაგის ამოწურვამდე.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010130000.22.027.017422

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №234–№230

2023 წლის 29-28 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი №76/№937 ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით მომსახურების გაწევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 1–2 მაისის №234–№230 ერთობლივ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებას დაემატა შემდეგი შინაარსის 2^1 მუხლი:

„მუხლი 2^1

2026 წლის 1 იანვრამდე ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ წესში ეტაპობრივად განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის 11^1 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ყველა მომსახურების გაწევა.“ და ა.შ.

ზემოაღნიშნული წესისა და პირობების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.034.017404

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2023 წლის 25 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 4 სექტემბრიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №352

2023 წლის 4 სექტემბერს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა:

1. „იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის,

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 დეკემბრის №631 დადგენილება.

2. „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს №417 დადგენილება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 270000000.10.003.024185

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №509

2023 წლის 7 სექტემბერს საქართველოს მთავრობის №355 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომ-სახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავ-რობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებაში (შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ნ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან და უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრიდან ამონაწერის ინგლისურ ენაზე მომზადება – 26 ლარი. აღნიშნული საფასური ემატება იმ მომსახურების საფასურს, რომელთან ერთადაც მოთხოვნილია ინგლისურენოვანი ამონაწერის მომზადება.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.10.003.024189

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №523

2023 წლის 7 სექტემბერს საქართველოს მთავრობის №357 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №523 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. სტატუსის დადგენის მიზნით, პირი შესაბამისი განცხადებით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო). განცხადებას უნდა დაერთოს 2 ფოტოსურათი, ზომით – 3/4, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლოა დადასტურდეს სტატუსის მაძიებლის მოქალაქეობის არქონის ფაქტი. წარსადგენი დოკუმენტების არქონის შემთხვევაში, განცხადებაში უნდა მიეთითოს დოკუმენტის არქონის მიზეზი.“.

2. მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. სტატუსის დადგენის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15, მე-19 და 21-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას და შესაბამისი გარემოების გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის დადგენის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით, უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.“.

3. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნა.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010120000.10.003.024191

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება №4

2023 წლის 8 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს №4 დადგენილებით „ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრის კრიტერიუმების და მათი მიღება-გამოცვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2011 წლის 27 ივნისის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. მეწარმე სუბიექტები (გარდა კომერციული ბანკისა და მიკრობანკისა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ვალდებულნი არიან ანგარიშსწორების პროცესში შეუფერხებლად მიიღონ I და II კატეგორიის ლარის ბანკნოტები და მონეტები ნომინალური ღირებულების მიხედვით.

3. კომერციული ბანკები და მიკრობანკები ვალდებულნი არიან:

ა) ანგარიშსწორების ან გამოცვლის მიზნით, ყოველგვარი საზღაურის გარეშე, შეუფერხებლად მიიღონ I, II და III კატეგორიის ლარის ბანკნოტები და მონეტები;

ბ) არ დაუშვან მიღებული II და III კატეგორიის ლარის ბანკნოტების და მონეტების მიმოქცევაში დაბრუნება და უზრუნველყონ მათი საქართველოს ეროვნულ ბანკში ჩაბარება.

4. იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკის და მიკრობანკის მიერ ვერ ხდება დაზიანებული ლარის ბანკნოტისა და მონეტისათვის IV კატეგორიის მინიჭება, მათი ვარგისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

5. IV კატეგორიის ლარის ბანკნოტები და მონეტები არ წარმოშობს მათი მიღება-გამოცვლის ვალდებულებას და მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება მფლობელს. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მფლობელისათვის მათი დაბრუნება, მეწარმე სუბიექტები (გარდა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ვალდებულნი არიან, ყოველგვარი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე, გადასცენ კომერციულ ბანკს, მიკრობანკს ან საქართველოს ეროვნულ ბანკს, ხოლო კომერციულმა ბანკებმა და მიკრობანკებმა ასევე ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე – საქართველოს ეროვნულ ბანკს.“.

დამტკიცდა თანდართული „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის წარმოების წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად. ასევე, დამტკიცდა თანდართული ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების რეესტრის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.11.004.016082

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №255

2023 წლის 11 სექტემბერს საქართველოს მთავრობის №359 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №255 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იმ ქვეყნების ჩამონათვალის, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“:

1. 95-ე გრაფის შემდგომ დაემატა შემდეგი შინაარსის 96-ე გრაფა:

„96.ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.“.

2. შენიშვნის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. დანართში მითითებული ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით ყოფნის უფლება, გარდა უკრაინისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებისა.“.

3. შენიშვნას 1^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 30 დღის ვადით ყოფნის უფლება, მხოლოდ ტურისტული მიზნებისთვის.“.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010120000.10.003.024192

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge